პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 ივლისი, კვირა, 1989 წ.
№ 146 (10 065) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

იქმნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

საინიციატივო ჯგუფის პირველი სხდომა

პარასკევს, 28 ივლისს, 17 საათზე, თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნისათვის წინასწარი სამუშაოების გამწევი საინიციატივო ჯგუფის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტსახკომის, ფიზკულტურისა და სპორტის კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს სახალხო ფრონტის, მეცნიერებათა აკადემიის, ჟურნალისტთა კავშირის, პრესის წარმომადგენლები.

განიხილეს ეოკ-ის დამფუძნებელი ორგანიზაციების წინადადებები და დამფუძნებელი კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. დავით კინწურაშვილმა (საქართველოს სპორტსახკომი), თენგიზ გაჩეჩილაძემ (გაზეთ „ლელოს“ რედაქცია), ირაკლი ფირცხალავამ (ფიზკულტურისა და სპორტის კვლევითი ინსტიტუტი), თემურ ნერგაძემ (საქართველოს სახალხო ფრონტი), პაატა ნაცვლიშვილმა (გაზეთი „სამშობლო“), აკაკი ხიხარულიძემ (ჟურნალისტთა კავშირი) გამოაცხადეს, რომ ისინი ალჭურვილნი არიან ნდობით თავიანთი ორგანიზაციები გამოაცხადონ საქართველოს ეოკ-ის დამფუძნებლად. ამავე საკითხზე იქვე გამოქვეყნდა თანხმობაზე საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს შეტყობინება.

სხდომაზე გადაწყდა ეოკ-ის დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდეს მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს, მანამდე კი ფიზკულტურულ კოლექტივებში, სპორტულ კლუბებში, სპორტულ სკოლებში, ნაკრებ - გუნდებში, ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებში გაიმართება საქართველოს ეოკ-ის შექმნის მხარდამჭერი კრებები, რაიონული და საქალაქო კონფერენციები, აირჩევენ დელეგატებს დამფუძნებელი ფორუმისათვის. თ. ნერგაძემ საინიციატივო ჯგუფს აუწყა, რომ სახალხო ფრონტის ადგილობრივი ორგანიზაციები მთელს რესპუბლიკაში გვერდში ამოუდგებიან კოლექტივებს ეოკ-ის შექმნის მხარდამჭერი კრებების ჩატარებაში.

სხდომამ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტული დავალებები მისცა საინიციატივო ჯგუფის წევრებს.

შემდეგი სხდომა დანიშნულია ოთხშაბათს, 16 საათზე, ჟურნალისტთა კავშირში. სხდომაზე მოწვეულნი არიან სპორტის სახეობებში რესპუბლიკური ფედერაციების ხელმძღვანელები.

ვინ იქნება სპონსორი?

გამოგვეხმაურეთ, მოგვწერეთ!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნისათვის მზადება დაინტერესებული ორგანიზაციების თანადგომით და პრაქტიკული მხარდაჭერით ინტენსიურად მიმდინარეობს.

ეოკ-ის შექმნისათვის სამუშაოების გამწევი საინიციატივო ჯგუფი სთხოვს ცალკეულ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, კოოპერატივებს, ვისაც სურვილი აქვს პრაქტიკული წვლილი შეიტანოს ეოკ-ის შექმნასა და შემდგომში მის წარმატებით საქმიანობაში, სპონსორობის თაობაზე მოგვაწოდოთ წერილობითი თანხმობა. მადლობელი დაგრჩებით თუ გვაცნობებთ კონკრეტულად რა დახმარების გაწევა შეგიძლიათ და რა დროიდან.

მოგვწერეთ მისამართით: 380096, თბილისი, ლენინის, 14. „ლელოს“ რედაქცია. კონვერტზე აღნიშნეთ — „საინიციატივო ჯგუფს“.

წინასწარ გიხდით მადლობას!

საინიციატივო ჯგუფი.

ბოლო მედლები

თუმცა IV საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების დამაგვირგვინებელი აკორდი მოკრივეთა ტურნირი გახლდათ, საქართველოს დელეგაციისათვის კი ეს ასპარეზობა უფრო ადრე, ნახევარფინალური ბრძოლებით ამოიწურა.

ჩვენი გუნდიდან მხოლოდ ორმა სპორტსმენმა — მსუბუქი წონის სოხუმელმა გევორქ კაფსუზიანმა და მეორე საშუალო წონის ქუთაისელმა ჯამბულატ ყუფარაძემ მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები. მოკრივეებმა 80 ქულა მოაგროვეს და IX ადგილზე გავიდნენ.

სურათებზე: მარცხნიდან — ჯ. ყუფარაძე (რინგზე მარცხნივ); მარჯვენა სურათზე (რინგზე მარცხნივ) კ. კაფსუზიანი.

თბილისელი ჩოგბურთელის გამარჯვება

შიაულიაის (ლიტვა) რეკონსტრუირებულ კორტებზე ჩატარდა ჭაბუკ ჩოგბურთელთა საინტერესო ტურნირი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების პირველობაზე. რეზერვის ამ საფუძვლიანმა შემოწმებამ ცხადყო, რომ სპორტსკოლებში ნიჭიერი ახალგაზრდობა ეუფლება ჩოგბურთს და მას ყოველმხრივი მხარდაჭერა სჭირდება.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება ხარკოვის სპორტსკოლის წარმომადგენლებს დარჩათ. პირადში კი პირველი ადგილები დაიკავეს: 17–18 წლიანთა შორის თბილისელმა დ. ტერტერიანმა, 15-16 წლიანებში — რ. მურაშკამ (მოლდავეთი) და 12-14 წლიანებში — ა. სევრუკმა (მინსკი).

დაჯილდოება

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით და დიდი სამახსოვრო „ოქროს მედლით“ დააჯილდოვა ამავე სპორტსახკომის სამმართველოს უფროსი **გივი ნიკოლოზის ძე ნადირაშვილი.**

საქართველოს სპორტსახკომში

საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის სხდომებს ახლა წითელ ზოლად გასდევს მეოთხე საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შედეგების კრიტიკული შეფასება. დიახ, კრიტიკული შეფასება, რადგან საკითხისადმი სწორედ ამგვარი დამოკიდებულება იძლევა მდგომარეობის ობიექტური შეფასების შესაძლებლობას, წარმატების მიღმაც თვალნათლივ უნდა ვხედავდეთ პრობლემებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ის, ვინც ღირსეულად გაისარჯა ქართული სპორტის საკეთილდღეოდ, ვინც ღვაწლისათვის საერთო პატივისცემას იმსახურებს, ჯეროვან პატივს მიაგებენ.

კოლეგიის ამ სხდომაზე ცხენოსნობაში, ნიჩბოსნობაში, მძლეოსნობაში, სასტენდო სროლაში, ცურვაში და კალათბურთში ნაკლოვანებების ანალიზი განიხილეს. ძირითადად ეს სპორტის ის სახეობებია, სადაც გუნდებმა და ცალკეულმა სპორტსმენებმა თავიანთ შესაძლებლობებზე დაბალი შედეგები აჩვენეს. მოვიტანთ რამდენიმე ამონაწერს კოლეგიის დადგენილებიდან: „სერიოზული შეცდომებია დაშვებული ცხენოსანთა მორალურ-ნებელობით და ფსიქოლოგიურ მომზადებაში. სამი მხედარი (რ. კვარაცხელია, თ. კორსავია, ი. ყურუა) შეჯიბრების ელემენტარული წესის დარღვევის გამო მოიხსნა შეჯიბრებიდან, რამაც გამანადგურებლად იმოქმედა საერთო გუნდურ შედეგებზე. მწვრთნელთა მომზადება ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს“.

„თამაშებისათვის ნიჩბოსანთა მომზადების პერიოდში დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები, როგორც ორგანიზაციული, ისე სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში, მოისუსტებდა აღმზრდელობითი მუშაობა. საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში გუნდმა დაიკავა მე-18 ადგილი, აკადემიურ ნიჩბოსნობაში — მე-12“. კოლეგიამ დააკმაყოფილა საწყლოსნო სპორტის სახეობების განყოფილების გამგის გ. ცქიტიშვილისა და მთავარი მწვრთნელის თ. ნეგეფტიდის თხოვნა და ორივე გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან“.

„სასტენდო სროლა თმობს ტრადიციებს. მწვრთნელები კმაყოფილდებიან მიღწეულით. იგრძნობა თვითდამშვიდება, ჩაშლილია ფედერაციის მუშაობა. თბილისში არ არის სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ელემენტარული პირობები“.

„მძლეოსნებმა დაიკავეს 21-ე ადგილი. ნაცვლად 60-ისა, შეჯიბრებაში მონაწილეობდა 20 სპორტსმენი. მათგან მხოლოდ შვიდმა მიიღო ჩასათვლელი ქულა. სამმა (ზ. მახარაძე, ა. მათიაშვილი, ნ. ონაშვილი; მწვრთნელები — ა. ალექსეევი, რ. კობიაშვილი, მ. ტულუში) საკონტროლო ნორმატივიც ვერ შეასრულა. საქართველოში სპორტის ამ სახეობაში 453 მწვრთნელი მუშაობს, გახსნილია 1042 ჯგუფი. სპორტსკოლების დირექტორები გ. ტულუში, რ. ოდიშარია, ე. ლომთაძე, რ. მამალაძე, დ. ნანიევი, თ. ჯოხაძე, ბ. კიუტი და სხვები ურიგდებიან ნაკლოვანებებს“. ცნობად მიიღეს, რომ მ. ტულუში განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

„მოცურავეებმა ჭაბუკთა თამაშებთან შედარებით გააუარესეს შედეგები (მე-18 ადგილი). გუნდში არ სრულდებოდა ინდივიდუალური დატვირთვის გეგმები, დაბალი იყო ტაქტიკური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება, არ მიმდინარეობდა მეთოდური მუშაობა“. კოლეგიაზე აღინიშნა, რომ ცურვაში სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელის ვ. ხაის ადრინდელი კრიტიკული ანალიზი, რომელსაც ასევე კრიტიკით შეხვდნენ სპეციალისტები, სამწუხაროდ (საქმის საზიანოდ), გამართლდა.

„ეს იყო ღალატი თანაგუნდელებისა და გულშემატკივრების წინაშე“ — ასე შეფასდა თამაშების დღეებში ის სამარცხვინო ამბები, რაც ვაჟ კალათბურთელთა გუნდის წევრების, განსაკუთრებით დ. ლლონტის, ძმები ი. და ლ. ვაშაკიძეების მიერ სპორტული დისციპლინის დარღვევას მოჰყვა. ვრცელი წერილი ამ თემაზე „ლელოში“ ცალკე გამოქვეყნდება.

თითოეულ საკითხზე მიღებულია კონკრეტული დადგენილება. კოლეგია ახლო მომავალში ცალკე იმსჯელებს ცხენოსნობასა და მძლეოსნობაში მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის თაობაზე.

კოლეგიის ამ სხდომაზე განიხილეს ქალთა ფეხბურთის საკითხი, მიიღეს დებულება ადგილობრივ პრესაში ფიზკულტურისა და სპორტის გაშუქებისა და ქართულ ენაზე სპორტული ლიტერატურის გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ, დაამტკიცეს ნომენკლატურული მუშაკები.



მთელი კვარცხლბეკი ჩვენია

ანუ ქართველ ძიუდოისტთა ტრადიციული ამბავი

ორიოდე დღის წინ გაცნობეთ ცნობილი ქუთაისელი ძიუდოისტის აკაკი კიბორძალიძის წარმატების შესახებ, რომელსაც მან კურსკის პირველ საერთაშორისო ტურნირში მიაღწია. ახლა კი გესაუბრებით ასპარეზობის დანარჩენ ამბებზე, რომლებიც საქართველოს სპორტსმენებს ეხებათ.

დავიწყებთ იმ მიზნით, რომელიც დასახული ჰქონდა საქართველოს ნაკრებს (უფროსი მწვრთნელის შოთა ხაბარელის თქმით): აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ძიუდოისტთა მთავარი გუნდი ამჟამად, ასე ვთქვათ, დიფუზორულ მდგომარეობაშია — ზოგ წონაში არ არის გარკვეული, ვინ გაემგზავრება მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე (ოქტომბერი, ბელგრადი). შეგახსენებთ, რომ კობა კურტანიძე, გიორგი თენაძე და ამირან ტოტიკაშვილი გუნდის უეჭველი კანდიდატები არიან (ისინი კურსკში არ გამოდიოდნენ), ახლა კი იქმნებოდა შესაძლებლობა მათ სხვა ქართველი მოჭიდავეც მიმატებოდა.

ჩვენებმა „საბოლოოდ“, ცხადია, მძიმე და აბსოლუტური წონითი კატეგორიები აირჩიეს და ძლიერი „დესანტი“ მიავლინეს კურსკში. სხვა წონის ფალავნებს კი, განსაკუთრებით ახალგაზრდული თამაშების მონაწილეებს, დასვენების საშუალება მისცეს. კურსკის საერთაშორისო შეჯიბრება იმისთვის დაწესდა, რომ შეევსო დიდი „ლრეჭო“ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებს შორის. „უკვე მერამდენე თვეა, უფროსი ასაკის ძიუდოისტებს არანაირ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, — თქვა შოთა ხაბარელმა, — ეს საერთაშორისო ტურნირი კი ტრადიციულ სახეს მიიღებს. იგი სწორედ იმისთვის დააწესეს, რათა მსოფლიო ჩემპიონატისათვის შეარჩიონ კანდიდატები“...

მძიმე წონებში შეჯიბრებამ აბსოლუტურად ყველა კითხვას გასცა პასუხი: ორივე ფინალში ქართველი მოჭიდავეები შეხვდნენ ერთმანეთს. კიბორძალიძისა და თბილისელი ვალერი პარუნაშვილის შერკინებაში უფრო გამოცდილი ქუთაისელი ფალავანი აქტიურობდა და მსაჯებმა მას მიანიჭეს გამარჯვება (პანტეი).

18 წლის დავით ხახალეიშვილისთვის მორალურად ალბათ ძალზე ძნელია კიბორძალიძესთან ჭიდაობა. ორივე ომარ მერაბიშვილის ჯგუფში ვარჯიშობს და ხახალეიშვილის დაოსტატება მისი უფროსი მეტოქის თვალწინ მოხდა... აკაკი კიბორძალიძე კურსკის საერთაშორისო ტურნირის ორგზის ჩემპიონი გახდა, ხახალეიშვილსა და პარუნაშვილს ვერცხლის მედლები გადაეცათ.

იხ. მე-3 გვ.

მწერლის თვალსაზრისი

სპორტს — კუთვნილი ადგილი!

სავსებით ბუნებრივია, რომ ეროვნული სუვერენიტეტის პრობლემას დაუკავშირდა სპორტული მოძრაობის, კერძოდ, ფეხბურთის დამოუკიდებელი განვითარების საკითხიც. გამოითქვა ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი. არ ვაპირებდი ამ დავაში ჩაბმას, მაგრამ მიმაჩნია, რომ არა გვაქვს უფლება, ამ საკითხზე აზრი არ ვკითხოთ ფეხბურთის ცნობილ ავტორიტეტებს (რომელნიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხმას არ იღებენ) და მათ შორის ქართული ფეხბურთის პატრიარქს — ანდრო ჟორდანიას. მართალია, მის სიცოცხლეში რაიმე გარდაქმნაზე, ან ფეხბურთში ნამდვილი პროფესიონალიზმის აღიარებაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო, მაგრამ მან მაინც მოახერხა დაეტოვებინა შთამომავლობისთვის თავისი შეხედულება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის არსებული სისტემის უვარგისობაზე. მისი წიგნი „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე" 1966 წელს ჩაბარდა გამომცემლობას, მაგრამ იმდროინდელი სპორტის მესვეურთა „წყალობით" გამოიცა მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1976 წელს (ავტორი, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო!). აი, რას წერს ანდრო ჟორდანია: „ასეთი ჩემპიონატის მოწყობა, როგორიც საკავშირო პირველობაა, დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ჩვენს ქვეყანას იმხელა ტერიტორია უჭირავს, რომ ასეთი მასშტაბისა ვერ იქნებოდა თვით ევროპის ჩემპიონატი, ისიც რომ ამავე სისტემით ტარდებოდეს. თუმცა, გულახდილად უნდა ითქვას, რომ დღეს ფეხბურთის განვითარებისთვის არც არის სასარგებლო ასეთი ხასიათის შეჯიბრების ჩატარება. მე არ ვიცი, რას კარგავს იმით ბრაზილია, რომ იქ შტატების პირველობას აწყობენ, თუმცა, გაცილებით ჩვენზე მეტი საშუალება აქვთ (ტერიტორია ნაკლებია, გუნდები განფენილნი არიან ერთ გეოგრაფიულ ზონაში), მათ შეუძლიათ ჩაატარონ ქვეყნის ჩემპიონატი. ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა იმაზე, რომ ჩატარებულიყო საბჭოთა კავშირის პირველობა, ვთქვათ, სამ გეოგრაფიულ ზონაში: ჩრდილოეთის (მოსკოვი, ლენინგრადი, მინსკი, კუიბიშევი და სხვ), ცენტრალური (კიევი, როსტოვი, ოდესა, ხარკოვი, ვოლგოგრადი და სხვ), სამხრეთისა (თბილისი, ბაქო, ერევანი, ტაშკენტი და სხვ.). ეს შეამცირებდა გუნდების მოგზაურობას, შემცირდებოდა ხარჯები, გაიზრდებოდა დრო ვარჯიშებისა და თამაშებისათვის, უფრო მრავალფეროვანი გახდებოდა ჩვენი ფეხბურთი... თითოეულ ზონას თავისი სტილი შეუმუშავდებოდა და, რაც მთავარია, სათანადოს მივუზღავდით გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს, ჩვენი ფეხბურთელები ხომ ვერასოდეს ვერ ასწრებენ აკლიმატიზაციას! აბა წარმოიდგინეთ მანძილები: ლენინგრადი-ტაშკენტი-ოდესა-ლენინგრადი!... შემდეგ შეიძლებოდა ამ ზონებში გამარჯვებულ ორ-ორ გუნდს (6 გუნდი) გაეთამაშა საკავშირო პირველობა იმავე ფორმულით, როგორც თამაშდება ევროპის ჩემპიონთა თასი... თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში რატომ უნდა ცდებოდეს სამხრეთის მზიანი სტადიონები? განა მრავლისმთქმელი არ არის ის ფაქტი, რომ თბილისში 1966 წლის 6 იანვარს კიევის „დინამოს" სავარჯიშო თამაშს 40 ათასი მაყურებელი დაესწრო (რომ არაფერი ვთქვათ ოფიციალურ შეხვედრაზე გლაზგოს „სელტიკთან") აქედან ჩანს, როგორ სწყურია ჩვენს მაყურებელს ოფიციალური ტურნირები უცხოეთის ძლიერ გუნდებთან!" (ანდრო ჟორდანია, „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე", გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბ. 1976 წ., გვ. 89–90).

რა თქმა უნდა, 23 წლის წინათ ნოე ჟორდანიას უახლოესი ნათესავი, რომელსაც მთელი სიცოცხლე ამ „გენეტიკური ცოდვის" გამო ჰქონდა გამწარებული, დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთზე კრინტს ვერ დაძრავდა, მაგრამ ამ ვრცელი ციტატიდან ნათლად ჩანს, როგორ შეხვდებოდა იგი ა. ქლენტის მოსაზრებას! ამიტომ ჩემს თავს უფლებას მივცემ საკითხთან დაკავშირებით გამოვთქვა აზრი, რომელზედაც ბატონ ანდროსთანაც მქონია საუბარი, ვიცი მისი შეხედულება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის დოკუმენტურად ფიქსირება თავის დროზე ვერ მოხერხდა. ანდრო ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ქართულ ფეხბურთს შეუძლია დამოუკიდებლად განვითარება, თუმცა, მისთვის დამოუკიდებლობა სულაც არ ნიშნავდა იზოლირებას — ქართული ფეხბურთი უნდა იყოს ჩართული მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში. იგი იმასაც შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ საქართველოს პირველობა, ისე როგორც ევროპის ქვეყნებში, ტარდებოდეს ფორმულით: შემოდგომა — გაზაფხული, საქართველო იყოს უეფა-ს და ფიფა-ს წევრი.

ჩემი აზრით, ამაოა ა. ქლენტის ოპონენტების შიში, რომ საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატი (თუკი გუნდებს ექნებათ საშუალება საერთაშორისო ჩემპიონატებში მონაწილეობისა) თამაშის კლასს დასცემს. განა რამე წააგეს ისეთმა პატარა ქვეყნებმა, როგორიც არის ჰოლანდია, ბელგია, დანია, რომ მათი გუნდები საბჭოთა კავშირის პირველობაში არ მონაწილეობენ? ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება, თუ საბჭოთა რესპუბლიკები თავიანთ პირველობებს ჩაატარებენ და ევროპის ტურნირებისა და მსოფლიო ცირველობის შუალედებში მოეწყობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასის და „კავშირის" თასის (უეფა-ს თასის ანალოგიურად) გათამაშება. ასეთ შემთხვევაში რესპუბლიკათა საუკეთესო გუნდები მუდმივად იქნებიან დაკავებულნი მსოფლიო ჩემპიონატებში, ევროპულ და საკავშირო ტურნირებში. როგორ შეიძლება ლაპარაკი ასეთ შემთხვევაში, პროფესიული ფეხბურთის ვითარებაში სათამაშო კლასის დაცემაზე? ვფიქრობ, პირიქით, ეს იქნება ქართული ფეხბურთის აღმავლობის საუკეთესო გზა. ის დროც მოვა, როცა ჩვენი ფეხბურთელები არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს საუკეთესო კლუბებს დაამშვენებენ.

უნდა ვიფიქროთ სპორტის სხვა სახეობებში მსოფლიო და ოლიმპიურ ასპარეზობებზე დამოუკიდებლად მონაწილეობაზეც. ვის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ, მაგალითად, მოჭადრაკე ქალები, ნინო სალუქვაძე, მოჭიდავეები თუ მაინც და მაინც საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით არ გამოვლენ, იშვიათად აჟღერდება დარბაზებში საქართველოს ჰიმნი? განა ცოტა იყო შემთხვევა, როცა ნაკრების დაკომპლექტება ხდებოდა არა სპორტული, არამედ რაღაც სხვა მოსაზრებებით? გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ნაკრებში არ შეიყვანეს ნონა გაფრინდაშვილი ან დებატები გოგონათა მსოფლიო პირველობასთან დაკავშირებით! ვფიქრობთ, ოლიმპიურ თამაშებზე არაოფიციალურ გუნდურ პირველობათა დაანგარიშება იმათი საქმეა, ვინც სპორტში პოლიტიკას ურევს. იქნებ დადგა დრო, დავუბრუნოთ სპორტს საზოგადოების ცხოვრებაში კუთვნილი ადგილი?

რომან მიმინოშვილი.

წინაპრების ნაკვალევზე

ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი შორაპნის ციხეს ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნას მიაკუთვნებს. ჩვენი ისტორიკოსების აზრით, იგი საქართველოს მეფემ მწიგნობარმა ფარნავაზმა ააშენა. ამ უძველეს ციხე-სიმაგრეში უამრავი, როგორც ანტიკური, ისე ბიზანტიური ხანის ნაშთებია ნაპოვნი. წელს, საზაფხულო არდადეგების დროს კვალიფიციურ სპეციალისტებს არქეოლოგიურ გათხრებში დიდ დახმარებას უწევენ ქუთაისის ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების რაზმი — „არგვეთი" და ზესტაფონის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები.

ერთ-ერთ მათგანს, „არგვეთის" მეთაურს კახა ჩიხლაძეს გავესაუბრეთ.

— ჩვენი რაზმი, არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობის მისალებად, ნებაყოფლობით შეიკრიბა. ყველა ჩვენგანი უდიდეს სიამაყესა და მოწიწებას ვგრძნობთ, როდესაც ხელით ვეხებით ჩვენი წინაპრების ნაკვალევს. აქ ყოფნამ ჩვენი ისტორიის შესახებ საკმაოდ გაგვიფართოვა თვალსაწიერი. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ყველასთვის პატივსაცემ ადამიანს, ექსპედიციის ხელმძღვანელს ვახტანგ ჯაფარიძეს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე საკმაოდ ბევრ ინფორმაციას გვაწვდის. სტუდენტებმა გადავწყვიტეთ, აქ გამომუშავებული თანხა შევაგროვოთ და აფხაზეთში დაღუპულთა ოჯახებს დავეხმაროთ. ახლა კი იმის შესახებაც მინდა გითხრათ, როგორ ვატარებთ თავისუფალ დროს. ჩვენს დღის რეჟიმში, ცხადია, დიდი ადგილი უკავია ფიზკულტურასა და სპორტს — თავისუფალ დროს ვთამაშობთ ფეხბურთს, კალათბურთს, ჭადრაკს, ბადმინტონს...

ჯემალ კახრაძე.

• • •

სურათებზე: შორაპნის ციხეზე მუშაობის შემდეგ თამაშიც შეიძლება.

ავტორის ფოტოები.

მკითხველი — გაზეთი

საკმაო ხანია, ქუთაისელ მორაგბეთა გუნდს სახელი შეეცვალა — „მშენებლის" ნაცვლად ეწოდა „აია". რესპუბლიკურ პრესაში ასეც იწერება, მაგრამ ცენტრალურ გაზეთებში, კერძოდ, „სოვეტსკი სპორტში", გუნდს კვლავ ძველი სახელით იხსენიებენ. რატომ?

ბაჩუკი ჟვანია.

თბილისი.

ასეთივე კითხვით მოგვმართეს თბილისელებმა ნინო გოგინაშვილმა და გოჩა მგელაძემ, სპი-ის სტუდენტებმა გ. თეთვაძემ, გ. გოგიბერიამ, დ. რუხაძემ და სხვებმა.

საქმე ის გახლავთ, რომ წლევანდელი სეზონის წინ, ე. ი. საკავშირო ჩემპიონატში მოასპარეზეთა განაცხადების წარდგენის ვადებში, ქუთაისელთა გუნდს ჯერ კიდევ „მშენებელი" ერქვა და საკავშირო სპორტსახკომში განაცხადი, რა თქმა უნდა, „მშენებლის" სახელით გაიგზავნა, ცოტა ხნის შემდეგ კი გადაწყდა, რომ ქუთაისელ მორაგბეთა გუნდს „აია" დარქმეოდა. აი, ეს გახლავთ მიზეზი ცენტრალურ პრესაში გუნდის კვლავ ძველი სახელით მოხსენიებისა (ისე, როგორც საკავშირო სპორტსახკომი, ცენტრალური გაზეთებიც ქუთაისელთა წლევანდელი განაცხადით ხელმძღვანელობენ). მომავალ წელს, როცა ქუთაისელთა განაცხადში მათ გუნდს „აია" ერქმევა, ეს უხერხული უზუსტობა, ცხადია, გასწორდება.

საქაშეთში აღდგა საჭიდაო

ჩვენს გაზეთში, წელს, 20 მაისს გამოქვეყნდა წერილი იმის შესახებ, რომ გორის რაიონის სოფელ საქაშეთში გაუქმება ემუქრებოდა ქართული ჭიდაობის სარბიელს, რომლის გადასახურად მოზიდული სამშენებლო მასალები მეურნეობის ძველ ხელმძღვანელობას სადღაც წაუღია.

რედაქციაში შემოსული ამ სიგნალის შემდეგ ჩვენ ტელეფონით ვესაუბრეთ გორის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს რ. ჯავახიშვილს,: რომელიც დაგვპირდა, რომ ყველაფერს დეტალურად შეისწავლიდა და შედეგებს გვაცნობებდა. თავმჯდომარემ მეორე დღესვე გვაუწყა, რომ საქაშეთში საჭიდაო არ გაუქმდებოდა და იგი წელსვე გადაიხურებოდა.

ჩვენმა კორესპონდენტმა რედაქციის თხოვნით ამ დღეებში საქაშეთში მოინახულა ეს სპორტული ობიექტი. აი რა გვაცნობა მან: საქაშეთში კვლავ გამოცოცხლდა სპორტული ცხოვრება, უკვე ორი კვირაა, რაც საჭიდაო მოედანი აღსდგა, კეთილმოეწყო, გაუკეთდა კარგი მისასვლელი გზა, დაიწყო სარბიელის გადასახურად მასალების შეზიდვა, რაც მთავარია, უკვე ორჯერ გაიმართა დიდი ზეიმი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მეზობელი სოფლების და არა მარტო სოფლების, რაიონების ფალავნებიც მონაწილეობდნენ. კვლავინდებურად გათამაშდა პრიზები.

კარგია, როცა სიტყვას საქმე მოჰყვება.

„ლელოს" კორ.

მკითხველთა წერილებიდან

დაუფიქრებლად ვწირავთ...

ამას წინათ თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მიმართვა საქართველოს ყველა სპორტის მუშაკისადმი. ორი აზრი არ არსებობს: მარტო სპორტის მუშაკებმა კი არა, ყველა ქართველმა უნდა გაიღოს თავისი წილი დემოგრაფიული ფონდისათვის.

მაგრამ რა თანხა, რა დახმარება წაადგება იმ ახალგაზრდა გოგონას, რომელსაც ჩვენ, სპორტის მუშაკები, ვაძალებთ ფეხბურთის თამაშს, 42 კილომეტრზე სირბილს, ჭიდაობას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ბოლო დროს სიმძიმეების აწევასაც. მალე, ალბათ, ამ „სიმძიმეების აწევას სტუდენტთა თამაშების პროგრამაშიც შეიტანენ.

ამ სახეობების პოპულარიზაცია საზღვარგარეთ ბიზნესმენებს აძლევთ ხელს, ჩვენ კი დაუფიქრებლად ვწირავთ მათ და ამით ვღუპავთ უამრავი ახალგაზრდა ქალის ჯანმრთელობას.

თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ სახეობაში გუნდები რომ შევკრიბოთ, სოლიდურ ციფრს მივიღებთ (14 უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს). ამას მოჰყვება სპორტული სკოლების გახსნა და ასე შემდეგ...

ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით მოგმართავთ გაზეთ „ლელოს" რედაქციას, რათა ეს ნამდვილად დამღუპველი დემოგრაფიული საკითხი გამოტანილი იქნას სამსჯავროზე.

თენგიზ ბაქრაძე,

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მთელი კვარცხლბეკი ჩვენია

ანუ ქართველ ძიუდოისტთა ტრადიციული ამბავი

(დასასრული)

გარდა ამისა, ვალერი პარუნაშვილმა აბსოლუტურ წონაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ერთი III ადგილი ლერი ყორყოლიანის წილად მოდის, რომელმაც, ზემოხსენებული სამეულის გარდა, შესანიშნავად ჩაატარა ტურნირი: დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონი იერემენკო და ერთ-ერთი სამხრეთკორეელი მოჭიდავე — მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი. აბსოლუტურ წონაში, როგორც ხედავთ, მთელი კვარცხლბეკი საქართველოს გუნდის წევრებმა დაიკავეს.

ახლა კი ამ გამარჯვების მნიშვნელობაც შევაფასოთ: აკაკი კიბორძალიძემ ადგილი განიმტკიცა ქვეყნის ნაკრებში, მეორე ნომრად დავით ხახალეიშვილი ირიცხება (მძიმე და აბსოლუტურ წონებში მათზე უკეთესი არავინ ჩანს). მაგრამ რვა წონიდან ხუთში ქართველი ძიუდოისტის გამოსვლა ქვეყნის ნაკრების სახელით, ეტყობა, ყველას როდი ეხატება გულზე. როგორც შოთა ხაბარელმა გვითხრა, სულ ახლახანს ხვეწნა-მუდარით ცდილან დაეყოლიებინათ მსოფლიო ჩემპიონი, 33 წლის გრიგორი ვერიჩევი სპორტს დაბრუნებოდა. ვერიჩევი დათანხმდა, ხახალეიშვილი კი რეზერვში აღმოჩნდა, თუმცა საკითხავია, რამდენად აღიდგენს ჩელიაბინსკელი მოჭიდავე ისეთ სპორტულ ფორმას, მსოფლიო ჩემპიონატს რომ სჭირდება. მაგრამ ნაკრები გუნდის ნახევრის შევსება ქართველი მოჭიდავეებით, უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმატებაა.

ჩვენში, სამწუხაროდ, მეტად იშვიათია სფერო, სადაც გვაქვს აწყობილი მეურნეობა, რომელიც განუზრელად იძლევა სათანადო შედეგს, ისეთს, მეწარმესაც რომ აკმაყოფილებდეს და მომხმარებელსაც — ხალხს. თუ ასეთ დასკვნას სპორტში „გადავიტანთ", სრული საფუძვლით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენს ძიუდოში სწორედ კარგად არის საქმე. ეს ყველა ნიშნით მტკიცდება: შინაური შეჯიბრებების მასობრიობითა და დონით, ჩვენს ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ მოპოვებული ერთმანეთზე საამაყო ტიტულებით და ა. შ. ყველაფერი ეს შექმნა გარემო ხელშემწყობმა პირობებმა (თუნდაც ჭიდაობის დიდი ტრადიცია ავიღოთ) და, რაც მთავარია, იმ ხალხის შრომამ, რომელიც საქმეშია ჩაბმული.

კარგ მოჭიდავეთა აღსაზრდელად საქართველოში მთების გადაბრუნება არ არის საჭირო, თუმცა რასაკვირველია, დიდი შრომა უნდა დახარჯო. საკმარისია, საქმე გიყვარდეს და კარგად გამოიყენო ის, რაც გვაქვს. თუ ასეც გაკეთდა, შედეგებიც აღარ დაახანებს. ასე ვიმკიდით ადრე წარმატებებს, ახლაც ასეა, თუნდაც ავიღოთ შესანიშნავი გამარჯვებები საბჭოთა კავშირის ბოლო ჩემპიონატში, IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე...

— საოცარია, რა მონდომებით ვარჯიშობენ თქვენი ბიჭები, ძალას არ იშურებენ, — თქვა გაოცებულმა შესანიშნავმა ძიუდოისტმა ვლადიმერ ნევზოროვმა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მეცადინეობის ხილვისას. საქმისადმი ეს სიყვარული, პასუხისმგებლობა, ახალგაზრდებს შეუნელებლად გადაეცემა უფროსებისგან. საუბარში და დარიგებაშიც ხშირად გაისმის სიტყვა „პატრიოტიზმი". და ამ სახელში ჩადებულ შინაარსს მოჭიდავეები პირდაპირ, სალად აღიქვამენ, მთელი გულით აკეთებენ იმ საქმეს, რაც უყვართ და კარგად იციან. და გულწრფელად (სწორადაც) მიაჩნიათ, რომ საერთო საქმის ჭაპანს ეწევიან. ეს აზრი მსჭვალავს მთელ გუნდს, რაც ეტყობათ კიდეც შეჯიბრებებზე.

მათი ვარჯიში, როგორც სინამდვილე გვიჩვენებს, ცარიელ ენთუზიაზმზე არ არის დამყარებული, ღრმა ცოდნაც უდევს საფუძვლად. ჩვენ ხშირად შურით შევცქეროდით ათასი ელექტრონული აპარატით შეიარაღებულ უცხოელ სპეციალისტებს და მიუწვდომელი გვეჩვენება მათი საიდუმლოება, მაგრამ სინამდვილეში სწავლობენ იმისგან, ვინც ძლიერია. ჩვენი სპორტსმენები ძლიერნი არიან და საბედნიეროდ, აღარავინ ერევა მათ მომზადებაში (ნაკრების მისამართითაც ვამბობ), პირიქით, აქეთ ეკითხებიან ჩვენს წვრთნელებს ზოგ რამეს, რომლებმაც გადაახალისეს ძველი „საკავშირო სტილი", მუშტრას რომ უფრო ჰგავდა და ისეთი მონახეს, ჩვენი სპორტსმენის ხასიათს შეხამებოდა. ასე მოემზადნენ ისინი ქვეყნის ჩემპიონატისთვის, ახალგაზრდული თამაშებისთვის...

შოთა ხაბარელმა გვთხოვა იმ ხალხისთვისაც გვეთქვა მადლობა, რომლებმაც გულთან მიიტანეს მათი საზრუნავ-საწუხარი და ძალა არ დაუშურებიათ დასახმარებლად. „ვანში, სადაც პირველი შეკრება დავგეგმეთ ახალგაზრდული თამაშების წინ, ყველა ჩვენი პრობლემა რაიონის „უმაღლეს დონეზე" წყდებოდა, — თქვა უფროსმა მწვრთნელმა, — მთელი რაიონის ხელმძღვანელობა მხარში გვედგა ქომაგად, ასე იყო ბაკურიანშიც, სათხილამურო ბაზაზე, სადაც შემდეგ გადავინაცვლეთ. ხოლო თბილისის სასტუმრო „უზბაში" (იქ დასკვნითი შეკრება ჩავატარეთ), ისე მივეჩვიეთ იქაურ მუშაკებს, ჩვენს წასვლას ნაღვლობენ კიდეც. დიდად დაგვეხმარა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპორტსკოლის ხელმძღვანელობაც. ასე რომ, ჩვენს მიერ მოპოვებულ წარმატებაში მათი დიდი წვლილიც არის.

წარმატება კი, მართლაც საოცარია. როგორც იცით, ჩვენმა ძიუდოისტებმა — სულ 18-მა ახალგაზრდამ, 12 მედალი მოიპოვა, მათგან ხუთი — ოქროსი, სამი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოსი. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ნაკრებმა, მეორე — თბილისის გუნდმა.

ამ წარმატებაში სხვა ადამიანების წვლილიც არის. დონეცკში ოფლში გახვითქული, სპორტსმენიდან სპორტსმენისკენ დარბოდა თბილისელი მასაჟისტი თეოფილე აშკალოვი, რომელსაც ნაკრების მწვრთნელებმაც დაადგეს თვალი. გუნდს ჰყავს კარგი ექიმი და გულისხმიერი ადამიანი ლევან შენგელია, აგრეთვე კარგი სამეცნიერო ჯგუფი.

და, რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ თვითონ მწვრთნელებიც, რომელთა მეცადინეობით გამოიჭედა ეს გამარჯვება: სულიკო ფეიქრიშვილი (ახალგაზრდული გუნდის უფროსი მწვრთნელი), ჯუმბერ ჯგუთიშვილი, ბიძინა მოხევიშვილი, ანზორ მარტყოფლიშვილი, ომარ მერაბიშვილი, მერაბ ლოსეურაშვილი, ამირან კელიხაშვილი, ტარიელ შათირიშვილი, აგრეთვე სხვები, სპორტსმენთა პირადი მწვრთნელები, რომლებიც დაუღალავად შრომობენ თბილისსა და რაიონებში.

— სწორ გზაზე კი ვდგავართ, მაგრამ საქმე ინერციით არ წავა, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, — თქვა ბოლოს შოთა ხაბარელმა.

ფხიზლად ყოფნა მართლაც საჭიროა, ზოგს, კიდევ ვიმეორებთ, არ სიამოვნებს ჩვენი წარმატება და ცდილობენ კიდეც კვანტი დაგვიდონ. მაგალითად, რატომღაც გადაწყვიტეს ქვეყნის მორიგ ჩემპიონატში რესპუბლიკები კი არ გამოიყვანენ გუნდებს, არამედ უწყებები („დინამო", ცსკა და ა. შ.). უწყებების ნაკრებში ჩვენი სპორტსმენების მივლინება და იქ მომზადება, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ძალზე ცუდად მოქმედებს მათზე, წყალში ყრის დიდი ხნის შრომას. ცხადია, „უცხო" სპეციალისტს დიდად არ ენაღვლება ორიოდე კვირით მობარებული მოჭიდავე, მით უმეტეს სხვა ტურნირებზე მეტოქეს ხედავს მასში. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობა აპირებს ძიუდოს საკავშირო ფედერაციის სხდომაზე დააყენოს საკითხი, რომ საქართველოს სპორტსმენები აქვე, შინ მოემზადონ. რა თქმა უნდა, იმის გადაწყვეტაც არის საჭირო, რომ ქვეყნის ჩემპიონატი რესპუბლიკების ჩემპიონატი იყოს.

გიორგი ჩოჩიშვილი.

* * *

სურათებზე: კურსკის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები. მარცხნიდან: ვალერი პარუნაშვილი, დავით ხახალეიშვილი, ლერი ყორყოლიანი.

იდუმალებით მოცული შეჯიბრება

ფართო სპორტულ საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის არაოფიციალურმა ჩემპიონატმა ვეტერან ფეხბურთელთა შორის, რომელიც 23 ივლისს დაიწყო დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა კონტინენტის 8 გუნდი, მინდორზე გამოვიდნენ ახლო წარსულის გამოჩენილი ფეხბურთელები, ტყავის ბურთის დიდოსტატები.

მაგრამ შეჯიბრება ჩვენთვის, რატომღაც, გაურკვეველი იდუმალებით მოცული აღმოჩნდა. ვეტერანთა საინტერესო შეჯიბრების შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა. და, აი, გუშინ, როგორც იქნა, მივიღეთ საკდესის ინფორმაცია. მასში სიტყვასიტყვით ნათქვამია, რომ „ვეტერან ფეხბურთელთა არაოფიციალური ევროპის ჩემპიონატის ფინალში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მეტოქე იქნება შვეციის გუნდი, რომელმაც ნახევარფინალში სძლია ჰოლანდიის გუნდს — 4:1". ესაა და ეს, როგორ მიაღწიეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ფინალს, როგორ ითამაშეს წინასწარ ჯგუფში და ნახევარფინალშიც, ამაზე ინფორმაციაში სიტყვაც არაა ნათქვამი.

შვეციისა და სსრ კავშირის ვეტერან ფეხბურთელთა ფინალური მატჩი უნდა გაიმართოს დღეს.

II ლიგა

დაიწყო II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მეორე წრე. გაიმართა მორიგი ტურის მატჩები: „გოიაზანი" (ყაზახი) — „ყარაბაღი" (აგდამი) 4:0, „დინამო" (მახაჩყალა) — „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) 1:1, „ტერმისტი" (ბაქო) — „ზვეზდა" (გოროდიშჩე) 0:2.

მეცხრე ზონაში მოასპარეზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს ამ ტურში არ უთამაშიათ.

ელვა-ინფორმაცია

ნორჩ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზე

გუადილა (პუერტო-რიკო). აქ, სან-ხუანიდან 120 კილომეტრის დაშორებით, დაიწყო ნორჩ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, სადაც მონაწილეობენ 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეები. შეჯიბრებაში ჩაება 58 ქვეყნის 264 მონაწილე.

პირველ ტურში რვა საბჭოთა მოჭადრაკემ (თეთრი ფიგურებით) მიაღწიეს გამარჯვებას: 12 წლამდე — ბათუმელმა დიანა დარჩიამ, 14 წლამდე — ანია სიგალმა კალინინგრადიდან და ვალოდია კრამნიკმა ტუაფსედან, 16 წლამდე — სოფიკო ნიკოლაძემ ქუთაისიდან, თეა ლანჩავამ თბილისიდან და სერგეი ტივიაკოვმა კრასნოდარიდან, 18 წლამდე — ნათია ჯანჯღავამ თბილისიდან.

უაღრესად დაძაბულია შეჯიბრების რეგლამენტი. ყველა მონაწილეს (14 წლამდე) 2 საათი ეძლევა 50 სვლაზე, სამსაათიანი შესვენების შემდეგ კი 2 საათია გამოყოფილი გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

დღეში 8 საათს თამაშობენ უფროსი ასაკის მონაწილენი — 2 საათი 40 სვლაზე, შემდეგ 1 საათი 20 სვლაზე, შესვენების შემდეგ კი 2 საათი გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

ქართული პრესა წერდა...

ერთ ფრანგულ ჟურნალს საყურადღებო ცნობები შეუკრებია იმის შესახებ, თუ გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისში რამდენადაა გავრცელებული სპორტი. როგორც გასართობ და საგიმნასტიკო საზოგადოებებს, რომელთაც აზრად წყალში ცურვა აქვთ, სულ 6,000 წევრი ჰყავთ, გერმანიაში — 7,000, ინგლისში — 80,000 წევრი; დაშნით მოვარჯიშე საზოგადოებებს: საფრანგეთში — 25 000 წევრი, გერმანიაში — 20,000, ინგლისში—5,000 წევრი; ატლეტიკისა, ფუტბოლისა, ტენნისის და სხვა საზოგადოებებს: საფრანგეთში — 50,000, გერმანიაში — 10,000, ინგლისში — 600,000 წევრი; საგიმნასტიკო საზოგადოებებს: საფრანგეთში — 41,262, გერმანიაში 554,757, ინგლისში — 5,000 წევრი; საველოსიპედო საზოგადოებებს: საფრანგეთში — 75,000, გერმანიაში — 200,000 და ინგლისში — 180,000 წევრი.

„ივერია", 1901 წ. 18 აპრილი, № 84.

* * *

ამას წინად ამერიკაში გარდაიცვალა ქიმიკოსი ნატანიელ უელსი. პატივცემული მეცნიერი 107 წლისა მოკვდა. თავის სიცოცხლეში უელსს 25-ჯერ შემოუვლია დედამიწის გარშემო. მოხუცი ყოველთვის ამბობდა თურმე, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე ადამიანისა სამ რამეზეა დამოკიდებულიო: კაცი ყოველთვის კარგ გუნებაზედ უნდა იყოს, კარგი მადა უნდა ჰქონდეს და ყოველდღე ცივ წყალში ბანაობდესო.

„ივერია", 1901 წ. 18 იანვარი, № 14.

* * *

პეტერბურგში არსდება ქალთა კლუბი. კლუბის წევრებად მიიღებენ მხოლოდ იმდენად ღონიერ ქალებს, რომელთაც ორის ფუთის სიმძიმის აწევა შეუძლიანთ ერთის ხელით, მაგრამ, რადგანაც ასეთის ღონის პატრონი ქალი ბევრი არ აღმოჩნდება პეტერბურგში, ამიტომ „ნამდვილ" წევრთა გარდა, კლუბში მიიღებიან „კანდიდატებიც", ე. ი. ისეთი ქალები, რომელნიც იმდენად ღონიერები აღმოჩნდებიან, რომ ცოტა ხანს შემდეგ, ვარჯიშობის წყალობით, შესძლებენ ორის ფუთის სიმძიმის აწევას.

ორი ფუთი არც ისე დიდი სიმძიმე არის, რომ ღონიერმა ქალმა ვერ ასწიოს. სახელგანთქმული ქალი ქ-ნი ჟუპერე ადვილად სწევდა 650 გირვანქის სიმძიმეს, ინგლისელი ქალი ვიქტორიანა 100 გირვანქიან ქვებს ბურთებსავით ათამაშებდა ხელით და 600 გირვანქასა სწევდა. ერთხელ ვიქტორიანამ დაინახა, რომ რამდენიმე კაცი დაჰხვეოდა ერთს რკინის ყუთს და ადგილიდგან ვერ დაეძრათ. ვიქტორიანამ ეს ყუთი ადვილად ასწია და მეორე ადგილას გადაიტანა. ეს ქალი 100 გირვანქიან ქვებსა და 200 გირვანქიან რკინის ჯოხს კოხტა ამგამი აწყობდა და ხელით დაჰქონდა თურმე.

ინგლისში ქალებს ყველგან ასწავლიან გიმნასტიკას და ამიტომ, საკვირველი არ არის, რომ იქ უფრო მეტია ღონიერი ქალები, ვიდრე სხვაგან.

ამ ბოლო დროს მთელს ინგლისს აკვირვებს ღონით მისს დურნეტი. გამოდის სცენაზედ, იატაკზე ხელებით ეყრდნობა, წელზე ადებენ ფიცრებს, ზედა სდგამენ პიანინოს, კაცი ჯდება და უკრავს, ქალი კი ამ დროს ჰგალობს მშვენიერისა და სასიამოვნო ხმით.

რუსეთში ეხლა განთქმული მოჭიდავე ქალია მისს მემსონი, რომელიც ქალებს იწვევს საჭიდაოდ. ბელოსტოკში ამ ქალს დაეჭიდა ერთის პატივცემულის მოქალაქის ცოლი და წააქცია.

„ივერია", 1897 წ. 20 მარტი, № 53.

* * *

ფილოსოფოსი და ბილიარდი. გერბერტ სპენსერი სადილს შემდეგ ყოველთვის სამეცნიერო კლუბ „Athenaum"-ში ატარებს და თავისს ბედსა სცდის ხოლმე ბილიარდზედ თამაშობით. ერთხელ ერთმა ყმაწვილმა კაცმა სთხოვა, მეთამაშეთ ბილიარდიო. დაიწყეს თამაშობა. როდესაც ყმაწვილმა კაცმა მეორედ წამოავლო კის ხელი, ისე საუცხოოდ ითამაშა, რომ მაშინვე დაამთავრა თამაშობა და სპენსერს კი აღარ ააღებინა ხელში. პატივცემულის ფილოსოფოსის სახე ღრუბელმა უსიამოვნებისამ დაჰფარა. როდესაც ყმაწვილმა კაცმა სათამაშო დაამთავრა და შეჰხედა სპენსერს იმ იმედით, რომ თამაშობას, ხელოვნებას მომიწონებს და მაქებსო, სპენსერმა შუბლ-შეჭმუხნით უთხრა თურმე: „მოწყალეო ხელმწიფევ! თავ-დაჭერილი და ზომიერი ხელოვნება ასეთს თამაშობაში კარგს აღზრდას ამტკიცებს, მაგრამ აგეთი ოსტატობა კი იმის მომასწავებელია, რომ თქვენი ყმაწვილ-კაცობა მაგისთანა წარა-მარა საქმეებზედ გიფლანგავთო.

„ივერია", 1892 წ. 6 მაისი, № 95.

* * *

ხშელ კაცთა წრეს ნიუ-იორკში ახირებული ჯიბრი ჰქონია. შეუკრავთ პირობა, რომ ერთმანეთს სირბილში გავეჯიბროთო და სარბენელ მანძილად ხუთ ვერსამდე ადგილი შემოუღობავთ. ამ ჯიბრში მონაწილეობას მხოლოდ ისეთები იღებენ, რომელნიც 209 გირვანქაზედ ნაკლებს არ იწონიან. ექვს მოჯიბრეთაგანში ერთი 450 გირვანქას იწონის თურმე.

„ივერია", 1889 წ. № 111, 1 თიბათვე.

შეკრიბა
სულიკო ნუცუბიძემ.

ნაგვიანევი სიხარული

გორკში სულ ახლახანს დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ჩვენ უკვე გაცნობეთ, რომ იქ 10 კილომეტრზე რბენაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თბილისელმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა. სამწუხაროდ, ეს ჯილდო ერთადერთი აღმოჩნდა ჩვენი მძლეოსნებისთვის. საქართველოს გუნდის მეორე ლიდერმა, სოხუმელმა ბირთვის მკვრელმა ტარიელ ბიწაძემ, რომელიც სახლში იმყოფებოდა, ყველასთვის ცნობილი ამბების გამო, უბრალოდ, შეჯიბრებაზე გამგზავრება ვერ შეძლო. ასევე დიდი წვალებით ჩავიდა გორკში ლესელიძიდან სხვა რამდენიმე მძლეოსანი, თუმცა, ასეც რომ არ ყოფილიყო, არა გვგონია ჩვენი გუნდის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულიყო. თუმცა აღნიშნული მიზეზის გამო მათ საკუთარი შესაძლებლობაც ვერ გამოამჟღავნეს. მათგან საუკეთესონი — გელა ვეშაპიძე და იგორ ივანოვი — 110 მეტრზე თარჯრბენში მეორე „ბ" ფინალში მოხვდნენ.

ნუგეშად გვინდა უფრო ძველი ამბავი გავიხსენოთ: ახლა მივიღეთ დამტკიცებული საკავშირო კლასიფიკაცია. აღმოჩნდა, რომ 23 წლის ტარიელ ბიწაძეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეუსრულებია სოჭში მაისში გამართულ ტურნირზე (გაზეთ „პრავდის" პრიზის გათამაშება), ხოლო 19 წლის ამბროსი მატიაშვილს — სპორტის ოსტატის ნორმატივი. ბიწაძემ 20,40 აჩვენა (ნორმატივი არის 20,20 მ), ხოლო შუბისმტყორცნელმა მატიაშვილმა — 73,66 (73, 0 მ). აღსანიშნავია, რომ სოხუმელმა მძლეოსანმა ადრეც გადააჭარბა ამ ნორმატივს, მაგრამ შეჯიბრების რანგი მისთვის წოდების მინიჭების საშუალებას არ იძლეოდა.

ორივე მძლეოსანი საქართველოს განათლების სამინისტროს მძლეოსნობის სკოლის აღზრდილია, ბიწაძეს („დინამო") თამაზ ჰედია ავარჯიშებს, მატიაშვილს (პროფკავშირები) — რეზო კობიაშვილი.

◆ ◆ ◆

ულიდერებოდ...

საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრების წარუმატებლობამ ევროპის ჩემპიონატზე საზოგადოებრიობა დააფიქრა და შეაშფოთა. წარუმატებლობა ცოტათი მწარე გამოთქმაა და მესამე საპრიზო ადგილს იქნებ არც შეესაბამება, მაგრამ გააჩნია ვისთვის. საბჭოთა გუნდი ევროპის მრავალგზის ჩემპიონია და ყველა სხვა შედეგს მას, ალბათ სამართლიანადაც, წარუმატებლობად უთვლიან.

ზაგრების ჩემპიონატში არც თუ დამაჯერებელი გამოსვლის მიზეზად სპეციალისტები რამდენიმე გარემოებას ასახელებენ. არის ლაპარაკი იმაზე, რომ ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ვლადას გარასტასმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა აკლიმატიზაცია ამ თანამდებობაზე. არის ლაპარაკი იმაზეც, რომ ნაკრების ძირითადი ბირთვი (საბონისი, კურტინაიტისი, ხომიჩუსი, იოვაიშა, მარჩიულიონისი, ვოლკოვი) მეტს ფიქრობს საზღვარგარეთულ კონტრაქტებზე და თავის ძირითად მოვალეობას გულაყრილი ეკიდება. ყველაფერ ამაში, ცხადია, არის ლოგიკა და, ალბათ ამიტომ, გუნდის ხელმძღვანელობამ (ვ. გარასტასი და ზ. ხრომაევი) შემადგენლობა ფაქტიურად მთლიანად გადაახალისა.

ამ დღეებში კლაიპედას საკალათბურთო ცენტრში ქვეყნის განახლებულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პირველი საწვრთნელი შეკრება მოაწყო. ამჯერად ნაკრებში მოწვეულნი იყვნენ დ. მინაევი, ვ. გობოროვი, გ. რეზცოვი, ვ. ბერეჟნოი (ყველა — ცსკა), ა. პოდკოვიროვი, ა. კოსენკო, ა. შაპტალა (ყველა — კიევის „ბუდიველნიკი"), დ. სუხარევი, ე. გადაშევი (ორივე — მოსკოვის „დინამო"), ვ. ტიხონენკო, ი. კუკანენკო, ვ. კუზნეცოვი, ვ. კულაგინი, ო. მელეშჩენკო (ყველა — ალმა-ათის ასკ), ი. მიგლინიეკსი, გ. ვეტრა (ორივე — რიგის ვეფ-ი), ტ. სოკი (ტალინის „კალევი").

როგორც ხედავთ, შეკრებაზე იმყოფებოდა ჩვიდმეტი კალათბურთელი, ნაკრების შემადგენლობაში კი საბოლოოდ თორმეტი სპორტსმენი დარჩება. მწვრთნელები ამჯერად ძირითად აქცენტს აკეთებენ ალმა-ათისა და მოსკოვის არმიელებზე, რომლებიც ქვეყნის მთავარ გუნდში შესაბამისად ხუთი და ოთხი კალათბურთელით არიან წარმოდგენილი. ყურადღებას იმსახურებს ერთი ფაქტიც — ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილი არაა კაუნასის „ჟალგირისისა" და ვილნიუსის „სტატიბას" არც ერთი წევრი.

აგვისტოს მიწურულს განახლებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ესპანეთში გაიმართება.

ამასობაში ქალთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სეულში გაიმართა. შეჯიბრებაში გამოდიოდნენ იაპონიისა და სამხრეთ კორეის ეროვნული გუნდები, აგრეთვე ამერიკის უნივერსიტეტების „ყველა ვარსკვლავისგან" შედგენილი კოლექტივი. საბჭოთა სპორტსმენებმა ეს შეჯიბრება დამაჯერებლად მოიგეს.

სამხრეთ კორეის ამავე ქალაქში ასპარეზობდა ალმა-ათის არმიელ ვაჟთა გუნდი. მას ჰყავდა საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჩინეთის, ავსტრიის, კანადის, ტაივანის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის გუნდების სახით. ერთი შეხვედრა საბჭოთა კალათბურთელებმა წააგეს კიდეც (კანადასთან), მაგრამ ამის მიუხედავად პირველი ადგილი მოიპოვეს.

◆ ◆ ◆

დეპეშა ნომერში

ათი დღის განმავლობაში შორეულ მარეთის რესპუბლიკაში ქართული სპორტის თავისებური დეკადა მიმდინარეობდა: იოშკარ-ოლის უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტობაში დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკ რაგბისტთა ნაკრების სტუმრობამ, რომელიც იქ საკავშირო ტურნირში მონაწილეობდა, მით უმეტეს, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა კარგი თამაშითაც გამოიჩინეს თავი და პირველობა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებს დაუთმეს. აქვე იმყოფებოდნენ ჩვენი ძიუდოისტები კურტანიძე, გოგოჩაშვილი, ბოლოთაშვილი, რომლებიც საკავშირო უნივერსიადაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ. ქართველ სტუდენტთა სახელით მადლობა გვინდა გადავუხადოთ მათ მონიჭებული სიხარულისთვის და ვთხოვთ გაზეთ „ლელოს" რედაქციას მიულოცოს მათ ჩვენი სახელით.

სტუდენტები: ბუზელაძე, დანელია, პეტრიაშვილი, ხინჯიკაძე და სხვები.

მიზანი — მსოფლიო უნივერსიადა

მსოფლიო უნივერსიადისთვის მოფარიკავეთა ნაკრების კანდიდატთა შერჩევას ისახავდა მიზნად ტურნირი, რომელიც ამასწინათ ომსკში ჩატარდა და რომელიც ფაქტიურად პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების პირად საკავშირო ჩემპიონატს წარმოადგენდა.

ხმლით მოფარიკავეთა შეჯიბრებას ორი ფავორიტი ჰყავდა — კიეველი მ. ბოგუსლოვსკი და თბილისელი ი. გვარამაძე, დაძაბულ ბრძოლაში პირველი ადგილი უკრაინელ მოფარიკავეს ხვდა წილად. გვარამაძე მეორე იყო.

საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

უჩვეულო დავალებები

საჭადრაკო კომპოზიტორების ფანტაზია უსაზღვროა. იგი არა მარტო ფიგურების ამოძრავებას, მათ არასტანდარტულ და ხშირად არაჩვეულებრივ მოქმედებას ემსახურება, არამედ თვით სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა დადგენილ ჩარჩოებს სცილდება. ასე მაგალითად, პრობლემისტები ადგენენ ისეთ მახვილგონივრულ და უჩვეულო კომპოზიციებსაც, რომლებშიც საერთო საწყისი მდგომარეობის ბაზაზე სხვადასხვა სახის ამოცანა შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

დ. ბაქში, 1958



შამათი 2, ნადიშამათი 3 სვლაში

დიაგრამის ქვეშ მოთავსებული უჩვეულო დავალება გვაუწყებს, რომ უნგრელი კომპოზიციის დიდოსტატის ამ „ჰიბრიდულ" ნაწარმოებში ერთდროულად ორ საამოცანო ჟანრს ვხვდებით. ორსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ე:e4! 2. მ:f6X, 1. ...c4 2. ეd4X. ნადიშამათში კი, სადაც თამაშს შავები იწყებენ და მათი მეფე ორივე მხარის „შეხმატკბილებული" მოქმედების შედეგად შამათდება, ისევ ეტლის შეწირვაა განხორციელებული: 1. მფ:c4! კf8 2. მფd5 კ:d6 3. cdმb6X.

თუ ზემოთ განხილული ამოცანა ერთი პრობლემისტის ფანტაზიის ნაყოფია, ქვემოთ მოტანილ ნაწარმოებთა სერია სხვადასხვა დროსა და ვითარებაში იქმნებოდა სხვადასხვა ავტორთა მიერ.

სხვადასხვა ავტორები



იხ. ტექსტი

1932 წელს ეს უაღრესად ეკონომიური და ერთი შეხედვით, უმარტივესი ამოცანა პირველმა დაბეჭდა ცნობილმა გერმანელმა პრობლემისტმა ა. კნისტმა შემდეგი დავალებით: **ნადიშამათი 2 სვლაში** (ილუზორული თამაში: 1....b7X, ნამდვილი თამაში: 1. a6 b7+ 2. მფa7 b8ლX). ხოლო 1949 წელს მისმა თანამემამულეებმა ი. დორნლუტგენსმა და ე. გლაისბერგმა ამ დიაგრამას სხვა დავალება წარუმძღვარეს: **სერიული ნადიშამათი 8 სვლაში,** რაც ნიშნავს, რომ შავებმა სვლების სრული სერია ანუ ზედიზედ 8 სვლა მხოლოდ თვითონ უნდა გააკეთონ და ბოლო მერვე სვლაზე დააშამათებინონ თეთრებს თავისი მეფე: 1. a5 2.a4 5.· a1კ! 6. კe5 7. კb8 8. კa7 b7X. იმავე 1949 წელს რ. დარვალმა ამ პოზიციაში რეტროანალიზის მომენტი აღმოაჩინა, რის საფუძველზეც გაჩნდა ახალი, უკვე ეტიუდური კითხვა-დავალება: **ვინ იგებს?** ირკვევა, რომ მოგება მხოლოდ შავებს შეუძლიათ (1....ab), ვინაიდან, თუ დავუშვებთ, რომ სვლა თეთრებისაა (1.b7X?), მაშინ შეუძლებელი იქნება მოინახოს შავების უკანასკნელი სვლა (პაიკი ხომ a7 საწყის უჯრაზეა, ხოლო მეფე a8 უჯრაზე უკანასკნელი სვლით ვერ მოხვდებოდა).

მაგრამ ამ ოთხფიგურიანი საინტერესო პოზიციის საამოცანო ისტორია ამით არ დამთავრებულა. 1954 წელს დანიელმა ბ. ლარსონმა ახალი, [illegible] დავალება „იპოვა": **თეთრები უკან იბრუნებენ სვლას და 1 სვლაში აცხადებენ შამათს.** აი, მისი ამოხსნაც: თეთრები აბრუნებენ სვლას — მფc7 კლავს c8 უჯრაზე განლაგებულ შავ მხედარს და თამაშობენ 1. b7X. განხილული „კოლექტიური" ნაშრომი იმის საინტერესო და სასწავლო მაგალითია, თუ რა მრავალფეროვანი საკომპოზიციო სიუჟეტები შეიძლება იმალებოდეს უბრალო საჭადრაკო პოზიციებშიც. ამიტომ დღეს ჩვენ კიდევ ერთ დავალებას გთავაზობთ, რომელიც ამ მრავალწახნაგა ნაწარმოებს საეტიუდო ჟანრთან აახლოებს: **თეთრები უკან იბრუნებენ სვლას და იგებენ.** მოძებნეთ ეს ამოხსნა.

დასასრულ, ამოხსნით დანიელი კლასიკოსი პრობლემისტის უნიკალური ოთხი დავალების მქონე ამოცანა.

კ. ჰანემანი, 1933



შამათი 1, 2, 3 და 4 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ამოხსნა

„ლელოს" 9 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ლ. შტეპანის სამსვლიანი ამოცანა ნადიშამათზე შემდეგნაირად იხსნება: ილუზორული თამაში (იწყებენ თეთრები): 1... ეc5 2. მფe4+ მფe2 3. d4 d3X, ნამდვილი თამაში (იწყებენ შავები): 1. მფe4+ მფe2 2. მფe5 [illegible] 3. ეf5 d4X. ექო-შამათები! ამოცანის სწორი პასუხი გამოგზავნეს მამა-შვილმა ი. და დ. ტაბლიაშვილებმა (თბილისი).

„სპორტპროგნოზი"

სპორტული ლატარიების გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა 1989 წლის 30-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 21-23 ივლისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3130988 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (5) მოგება 9393 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (195) — 481 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (7254) — 45 მანეთი.

საქართველოში: 13-1 (თბილისი), 12-24, 11-299.

30-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 12 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით.

◆ ◆ ◆

„სპორტლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ!

ამჟამად „სპორტლოტოს" ჩვეულებრივ ბილეთებთან ერთად გაყიდვაშია ახალი ნიმუშის ბილეთებიც, რომლის გამოშვებაც განპირობებულია ბილეთების ავტომატიზებული დამუშავების პროცესით.

ბილეთების შევსების წესი იგივე დარჩა.

ამასთან, უნდა გაცნობოთ, რომ „სპორტლოტოს" ახალი ნიმუშის ათტირაჟიანი ბილეთების შევსებისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოება:

ტირაჟის მიმანიშნებელ უჯრედებთან აღნიშნულია ორი ასო — „C" და „B". თუ ახალი ნიმუშის ბილეთებში მოთამაშე „X" ნიშნით გადახაზავს „C" უჯრედს, ბილეთი მონაწილეობას მიიღებს ათ ტირაჟში; თუ მოთამაშე „X" ნიშნით გადახაზავს „B" უჯრედს, ბილეთი მონაწილეობას მიიღებს მინიშნებულ ერთ ტირაჟში ათჯერადად.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გთხოვთ ყურადღებით იყოთ ბილეთების შევსებისას.

გისურვებთ წარმატებას!

„საქსპორტლოტო"



[illegible] გვარი, სახელი, მამის სახელი	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1. [illegible]	ქ. თბილისი	10.000	„სპორტლოტო 5–36"	„ვაზ 2107"
2. [illegible]	ქ. [illegible]	10.000	„სპორტლოტო 5–36" 10 ტირ.	„[illegible] 24"
3. [illegible]	ქ. [illegible]	10.191	„სპორტპროგნოზი"	„ვაზ 2107"
4. [illegible]	ქ. თბილისი	10.000	„სპორტლოტო 5–36"	„ვაზ 2107"
5. [illegible]	ქ. თბილისი	10.000	„სპორტლოტო 5–36"	„ვაზ 2107"
6. [illegible]	ქ. [illegible]	10.000	„სპორტლოტო 5–36"	„ვაზ 2107"
7. [illegible]	ქ. თბილისი	10.000	„სპორტლოტო 5–36"	„ვაზ 2107"
8. [illegible]	ქ. [illegible]	10.005	„სპორტლოტო 5–36" 10 ტირ.	„[illegible] 24"
9. [illegible]	ქ. [illegible]	10.000	„სპორტლოტო 5–36"	„ვაზ 2107"
10. [illegible]	ქ. თბილისი		„[illegible]"	„ვაზ 24–10"
11. [illegible]	[illegible]		„[illegible]"	„[illegible]"
12. [illegible]	ქ. თბილისი	5.856		
13. [illegible]	ქ. თბილისი	5.655	„[illegible]"	
14. [illegible]	ქ. [illegible]	6.914	„სპორტლოტო 5–36"	

რედაქტორი

თ. ბაჩვილაძე.

„სპორტლოტოს" სამართველო გვატყობინებს:

გაზეთ „ლელოს" 23 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული იყო განცხადება იმის შესახებ, რომ აფხაზეთში შექმნილი ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებასთან დაკავშირებით შეუძლებელი გახდა 30-ე ტირაჟისათვის „სპორტლოტოს" და „სპორტპროგნოზის" ბილეთების „ბვ" ნაწილების რესპუბლიკურ სამმართველოში ჩამოტანა შემდეგი ქალაქებიდან: სოხუმი, ტყვარჩელი, გაგრა, გუდაუთა და ოჩამჩირე.

ამჟამად ამ ქალაქებიდან ყველა „ბვ" ნაწილები შემოსულია სამმართველოში და სპორტული ლატარიების ჩატარების პირობების თანახმად, მონაწილეობას მიიღებენ 31-ე ტირაჟში.

„საქსპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მოთამაშეთა საყურადღებოდ!

13 აგვისტოს ჩატარდება ლატარია „სპორტლოტოსა" და „სპორტპროგნოზის" 33-ე ტირაჟი. მასში გათამაშებული იქნება 1988 წლის სარეზერვო ფონდის ნაწილი 250000 მანეთის ოდენობით, მათ რიცხვში: „სპორტლოტო 6 45"-დან 25000 მანეთი, „5 36"-დან — 175000 მანეთი. ლატარია „სპორტპროგნოზი" 50000 მანეთი.

გიწვევთ სპორტული ლატარიების მოყვარულებს მონაწილეობა მიიღოთ „სპორტლოტოსა" და „სპორტპროგნოზის" 33-ე ტირაჟში.

გისურვებთ წარმატებებს!

„საქსპორტლოტო"

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. 9 უე 10440